estdev
From the people of Estonia

ESTONIAN REFUGEE COUNCIL

Mtskheta-Mtianeti Regional Hub

საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებების კვლევა

2023

© Mtskheta-Mtianeti Regional Hub

კვლევა ჩატარდა პროგრამის “სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - დევნილთა და ლტოლვილთა ხმა საქართველოში” ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოსა და ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრის შეხედულებებს.

სარჩევი

სიტუაციური ანალიზი	4
კვლევის მეთოდოლოგია	7
კვლევის მიზნები	7
კვლევის დიზაინი	7
ეთიკური პრინციპები და საველე სამუშაოების მახასიათებლები	8
ძირითადი მიგნებები	9
ანგარიშის ძირითადი ნაწილი	11
საქართველოში ჩამოსვლა	11
ძირითადი საჭიროებები	14
ეკონომიკური მდგომარეობა	17
განათლება	20
ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	22
დოკუმენტაცია და იურიდიული სერვისები	25
დამატებითი საჭიროებები	27
რეკომენდაციები	29

1. სიტუაციური ანალიზი

2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინაზე რუსული ძალების თავდასხმას, ჰუმანიტარული კრიზისი მოჰყვა, რადგან გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისის (UNOCHA) ინფორმაციით, თითქმის 18 მილიონი ადამიანი (უკრაინის მოსახლეობის 40%) საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის ოქტომბრის ბოლომდე, უკრაინიდან 29 მილიონი სასაზღვრო გადაკვეთა დაფიქსირდა. 2023 წლის ნოემბრის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 6 287 500 ლტოლვილი ფიქსირდება, აქედან უმრავლესობამ (16.092 ადამიანი) პოლონეთის საზღვარი გადაკვეთა.[1]

2023 წლის 25 ივლისის მონაცემებით, დაფიქსირდა დაახლოებით 27 000 უკრაინელი ლტოლვილის მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა[2]. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ოფიციალური მონაცემები არ ასახავს ომის შემდგომ პერიოდში უკრაინელ მოქალაქეთა საზღვრის კვეთის ზუსტ რაოდენობას, შემდეგ მიზეზთა გამო:

1. დევნილთა საკითხებთან დაკავშირებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი, სტატია, რეზოლუცია, კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს დევნილთა განსახლების პირობებზე, მიუხედავად მათი ზოგადი მიზნისა - ეხება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ, უფლებრივ, ინტეგრაციის საკითხებს, თუ საკუთრივ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესს.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ 2016 წლის საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოში არსებობს საერთაშორისო დაცვის შემდეგი ფორმები: **ლტოლვილის სტატუსი** ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; **ჰუმანიტარული სტატუსი** ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის კანონით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება. **დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს** სამინისტრო ანიჭებს მასობრივად შემოსულ პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და არ შეუძლიათ საკუთარ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.[3]

თუმცა, რომელიმე სტატუსით აღრიცხულ უკრაინელ მოქალაქეთა რაოდენობა, შსს-ს სტატისტიკურ დოკუმენტებში, ძალზე მცირეა, რაც არ შესაბამება საქართველოში უკრაინელ მოქალაქეთა რეალურ რაოდენობას. ამასთან, არ არის ხელმისაწვდომი სტატუსზე უარის თქმის შემთხვევათა აღრიცხვა, რადგან ასევე, არ არის ხელმისაწვდომი როგორია ამა თუ იმ სტატუსის მოთხოვნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის მიმართვიანობის მაჩვენებლები.

არსებული მიდგომის საფუძველზე, შესაძლებელია დასკვნა, რომ საქართველოში მიგრაცია არ გულისხმობს, რომელიმე კატეგორიის მინიჭების/მოთხოვნის გარდაუვალ აუცილებლობას, რაც ეწინააღმდეგება კანონით განსაზღვრულ შინაარსს მოქალაქეთა საერთაშორისო დაცვის შესახებ.

1 https://shorturl.at/fiwTW
2 https://shorturl.at/ehnN5
3 https://shorturl.at/foCJW

2. შსს-ს აღრიცხული აქვს უკრაინელ მოქალაქეთა საქართველოში შემოსვლისა და გასვლის მაჩვენებლები პერიოდების მიხედვით (მაგ, 2023 წლის III კვარტალში შემოსულია 65408 უკრაინელი მოქალაქე და ქვეყნიდან გავიდა - 67029 მოქალაქე), თუმცა, არ არის ხელმისაწვდომი ზუსტი ინფორმაცია რამდენი მოქალაქე რჩება ქვეყანაში.[4]

საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უკრაინელ ლტოლვილთა მიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები, წამყვან პოზიციებს არ იკავებს, თუმცა, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან დღემდე ქვეყანაში უკრაინელი მოქალაქეების საკმაოდ დიდი რაოდენობა შემოვიდა და პროცესი მიმდინარე პერიოდშიც დინამიურია. შესაბამისად, საქართველოში უკრაინელ მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირება საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარდა, მნიშვნელოვანი იყო/არის სხვადასხვა პროგრამების მიწოდებით, რომლებიც ფოკუსირებულია უშუალოდ დაზარალებულთა საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე - სოციალური, ჯანდაცვის, იურიდიული, საგანმანათლებლო, უფლებათა დაცვის და სხვა სერვისების წვდომაზე მხარდაჭერა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2022 წლის 15 ივლისიდან უკრაინის მოქალაქეთა და უკრაინაში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე პირთათვის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა ამოქმედდა, რომლის მიხედვით, საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეები (თითო ოჯახზე) საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად მიიღებდნენ თვეში 300 ლარს, ოჯახის თითოეულ წევრზე კი დამატებით 45 ლარს.[5]

მერიამ დედაქალაქში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს სერვისების ნაწილი უფასოდ შესთავაზა. მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, მუნიციპალურ სპორტულ ცენტრებში (მათ შორის აუზებით), მუზეუმებში, თეატრებში, მედიათეკებში, ხელოვნების სკოლებსა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მომსახურების მიღება ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე შეუძლიათ.[6]

2023 წლის 24 თებერვალს საქართველოს მთავრობამ გამონაკლისი დაუშვა უკრაინის მოქალაქეებისთვის და საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა ორ წლამდე გაუხანგრძლივა. მანამდე უკრაინა იმ 90-ზე მეტი ქვეყნის ჩამონათვალში იყო, რომლის მოქალაქეებსაც საქართველოში მხოლოდ 1 წელი შეეძლოთ ყოფნა.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ ომის დაწყების პირველ ხანებში ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ქვეყანა არ უერთდება რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს[8], თუმცა, საქართველო ჩართულია ევროკავშირისა და აშშ-ს დაწესებული მნიშვნელოვანი სანქციების აღსრულებაში[9]. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, აღრიცხულია ათეულობით განცხადებასა და რეზოლუციებზე მიერთების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები უდგანან სათავეში.[10]

2022 წელს, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა ნატურალიზაციის ხელშეწყობისთვის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელების კუთხით 16 წლის და ზემოთ ასაკის ლტოლვილებისათვის, „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდა 183 უკრაინელი. მათგან კურსი 45-მა დაასრულა წარმატებით.

4 https://shorturl.at/uBFS1
5 https://rb.gy/tvbl86
6 https://tbilisi.gov.ge/news/12803
7 https://rb.gy/a29f6d
8 https://rb.gy/nkce4g
9 https://rb.gy/m619vz
10 https://rb.gy/x8xiol

გაცილებით დიდია უკრაინელი მოქალაქეების მხარდასაჭერად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ქმედებები. რაც მთავარია, ორგანიზაციათა ნაწილის მხრიდან პერმანენტულ რეჟიმში, მიმდინარე პერიოდში არსებული საჭიროებების გამოვლენა, ადეკვატური სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

- ომის პირველივე დღეებში საქართველოს პარლამენტის შენობასთან გაიხსნა უკრაინელების ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი;

- სპეციალური ანგარიში გახსნა თბილისის მერიამაც. ამავდროულად, მუნიციპალიტეტში გამოიყო სპეციალური სივრცე იმ პროდუქტების შესაგროვებლად, რომელიც მოგვიანებით უკრაინაში გაიგზავნა. ინიციატივას შეუერთდნენ კერძო კომპანიები და სხვადასხვა უნივერსიტეტები;

- ომის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში გამოჩნდა, რომ გამოწვევა იყო უკრაინელი ბავშვებისთვის განათლების მიღებაც — საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისსა და ბათუმში) შეიქმნა სპეციალური პროგრამები: თბილისის 41-ე და ბათუმის მე-20 საჯარო სკოლებში უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა. დამატებით, 2022-2023 სასწავლო წლისთვის თბილისში, 41 და 220-ე საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორი გაიხსნა და გაფართოვდა ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინულენოვანი სექტორიც. მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე მიეცათ განათლების მიღების შესაძლებლობა და ამავდროულად, შეეძლოთ ჩართვა არაფორმალური განათლების წრეებში — სპორტის, მუსიკის და ტექნოლოგიების მიმართულებით;

- სახელმწიფომ ომის გამო ქვეყანაში ჩამოსულ უკრაინელებს ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე მისცეს შესაძლებლობა, სწავლა გაეგრძელებინათ სახელმწიფო უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უკრაინელი სტუდენტები სწავლის გადასახადისგან გაათავისუფლა;

- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისმა საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე უფასო კონსულტაციები შესთავაზა პარტნიორ ორგანიზაციებში, როგორიც არის სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები — უფლებები საქართველო და ვორლდ ვიჟენ საქართველო. უკრაინელებს სამართლებრივ დახმარებას სთავაზობდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც: ადამიანის უფლებათა ცენტრი, ქალთა უფლებებზე მომუშავე — საფარი, ქეა კავკასია და მისი პარტნიორი ორგანიზაცია ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი.

- ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან, რომელსაც ეკისრება უკრაინელ ლტოლვილთა კოორდინაციის საკითხები, რათა უზრუნველყოს უკრაინელები გენდერული ნიშნით ძალადობის, დაცვისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.[11] UNHCR და World Vision ასევე აფინანსებს სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ ოჯახებს თვეში დამატებით 225 ლარით ერთ ადამიანზე.

მოცემული კვლევა კიდევ ერთი განახლებული დოკუმენტია, რომელიც აღწერს საქართველოში უკრაინელი ლტოლვილების განსახლების და კვების, ჯანდაცვის, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის, იურიდიული სერვისების, საგანმანათლებლო მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების მხრივ გამოწვევებს სერვისებზე წვდომისას და არსებული მხარდაჭერის სერვისებსა და სერვისების მიმწოდებლების შესახებ ინფორმაციას.

11 https://care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=281

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში იძულებით გადაადგილებული უკრაინელი მოქალაქეების გადაადგილების, არსებული საჭიროებების, დაცულობის ხარისხის, სამომავლო მისწრაფებებისა და გეგმების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; დახმარების ფორმებსა და მათ ეფექტურობაზე, უშუალოდ, უკრაინელ მოქალაქეთა დამოკიდებულება, ჰუმანიტარული აქტორებისთვის სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, სერვისის მიწოდების არსებულ პრინციპებში ხარვეზების აღმოფხვრის, ან სიახლეების დანერგვის მიზნით.

2.2 კვლევის დიზაინი

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდით, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე.

რაოდენობრივი კვლევა - რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 50 ინტერვიუ უკრაინელ ლტოლვილებთან. რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუებისთვის რესპონდენტები შეირჩა „თოვლის გუნდის“ პრინციპით. რესპონდენტს წარმოადგენდა 18+ ასაკის პირები. რაოდენობრივი კვლევის კითხვარები შემუშავდა დამკვეთთან შეთანხმებით. საველე სამუშაოების შემდეგ, შევსების შედეგად მიღებული მონაცემები შევიდა და დამუშავდა SPSS-ში. ისინი ანგარიშში წარმოდგენილია როგორც გრაფიკების/ცხრილების, ასევე ვერბალური ინტერპრეტაციების სახით. რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს არ აქვს პრეტენზია რეპრეზენტატულობაზე, შერჩევის მცირე ზომიდან გამომდინარე, თუმცა, სამიზნე აუდიტორიისთვის აქტუალურ საკითხებს მკაფიოდ ასახავს. ამასთან, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ტენდენციები თითქმის ერთგვაროვანია.

თვისებრივი კვლევა - სულ ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი უკრაინიდან საქართველოში ლტოლვილ პირებთან. ამასთან, ჩატარდა 10 სიღრმისეული ინტერვიუ: 4 სიღრმისეული ინტერვიუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს უკრაინელ ლტოლვილთა საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები, 6 სიღრმისეული ინტერვიუ თავად, უკრაინელ მოქალაქეებთან.

საკითხის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, რესპონდენტთა რეკრუტირებისთვის გამოყენებულ იქნა ე.წ ,,თოვლის გუნდის'' მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მკვლევრისადმი სანდოობის მაღალ ხარისხსა და რესპონდენტების გულწრფელობას და არასამთავრობო ორგანიზაციების ბენეფიციართა სიებიდან რესპონდენტთა შერჩევის წესი. ფოკუს ჯგუფის საშუალო ხანგრძლივობა წარმოადგენდა 1.5-2 საათს, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა – 60-80 წუთი. თვისებრივი კვლევა ჩატარდა დისტანციურად, ონლაინ გამოკითხვის საფუძველზე.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი-გზამკვლევი (Guide-line), რომელიც შედგებოდა საკითხების (თემების) ჩამონათვალისგან. ისინი გამოიყენებოდა როგორც ზოგადი სახელმძღვანელო ორიენტირი. თვისებრივი კვლევის მიმდინარეობის პროცესში კითხვარის მოდიფიცირდა ინტერვიუს კონტექსტის თავისებურებების გათვალისწინებით.

2.3 ეთიკური პრინციპები და საველე სამუშაოების მახასიათებლები

საველე სამუშაოების შედეგების ტექნიკური და შინაარსობრივი მახასიათებლების აღწერა, მნიშვნელოვანია, ანგარიშის ძირითად ნაწილში მოცემული საკითხების მეტი სიცხადით აღქმისთვის. ამასთან, უკრაინელ მოქალაქეებთან, როგორც მიმდინარე ომის პირობებში მყოფი ქვეყნიდან ლტოლვილ მოქალაქეებთან ინტერვიუების ჩატარებისას მნიშვნელოვანი იყო ეთიკური პრინციპების, განსაკუთრებით ინფორმირებული თანხმობის წესის დაცვა, რაც მნიშვნელოვანია მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისას, განსაკუთრებით განცდილი ტრავმების გამო, რომელიც კვლევის მიმდინარეობისას ჯერ კიდევ აქტუალური იყო, მითუმეტეს, რომ პირადი გამოცდილების გარდა, კვლევის რესპონდენტთა ნაწილის ოჯახის წევრები ჯერ კიდევ რჩებიან უკრაინაში ან ჩართულნი არიან საომარ მოქმედებებში.

- მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობამდე გულისხმობდა საჭიროებების შეფასების მიზნებისა და ხასიათის, კვლევის შესაძლო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მონაწილეებს ჰქონდათ ინფორმაცია მათი უფლების შესახებ - უარი თქვან მონაწილეობაზე/კვლევაში მონაწილეობა არ იყო სავალდებულო.

- უზრუნველყოფილი იყო გენდერულად სამართლიანი წარმომადგენლობა და კვლევა იძლეოდა შესაძლებლობას, ქალებისა და კაცების როგორც ინდივიდუალური პრობლემები და განწყობები ასახულიყო კვლევაში, ისე მათი საერთო პრობლემები და განწყობები.

- იმისათვის, რათა ფოკუს ჯგუფის დროს მაქსიმალურად გულწრფელი პასუხები მიგვეღო, ასევე, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მაქსიმალურად ზუსტი სამიზნე აუდიტორიის მოსაზრებების ასახვა, დაცული იყო ფოკუს ჯგუფის მონაწილეებში პოლიტიკური ნეიტრალობა.

- კვლევის მიმდინარეობისას რესპონდენტთა მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია, რიგ შემთხვევაში არ აღწერდა პირად მდგომარეობას. იქიდან გამომდინარე, რომ თვისებრივი კვლევა თავისი სპეციფიკით არ არის მოცულობითი, კოლექტიურ ან ინდივიდუალურ სურვილებსა და საჭიროებებზე აქცენტები, ზოგადად, დევნილებისთვის ერთგვარ, მხარდაჭერის ფორმას წარმოადგენდა, გარდა იმისა, რომ დისკუსიას მეტი ინფორმაციულობით უზრუნველყოფდა.

- ანგარიშში მოცემული თითოეული მოსაზრება განზოგადებულია უკრაინელ ლტოლვილებზე. მოსაზრებები არ განიხილება ინდივიდუალურად რეგიონის, კონკრეტული ქალაქის ან კვლევის მონაწილე პირთან მიმართებაში, არსებულ პრობლემათა საერთო ხასიათისა და თვისებრივი კვლევის სპეციფიკის გამო ანალიზი განიხილება, როგორც საერთო შეფასების ნაწილი.

3. ძირითადი მიგნებები

- იძულებითი გადაადგილებისას საქართველოს შერჩევა ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პირობების, დაბალი ფასების მოლოდინის, საზოგადოების განწყობების შესახებ ინფორმირებულობის, ენის ბარიერის დონის, ზოგადად, „ნაცნობი ქვეყნის“ პრინციპით განხორციელდა იმ შემთხვევების გარდა, ვისთვისაც საქართველოში ჩამოსვლა ერთადერთი ვარიანტი იყო.

- საქართველოში ჩამოსვლამდე ან განვლილ გზაზე, რიგი რესპონდენტებისთვის შექმნილი სირთულეების მიუხედავად, საკუთარ არჩევანს პოზიტიურად ახასიათებენ, რასაც უპირველესად, ქვეყანაში დაცულობის მაღალი შეგრძნებით ხსნიან. ერთგვაროვანია ქართველების დახვედრის მიმართ მადლიერი დამოკიდებულება, რაც მათი გადმოცემით, მატერიალური საჭიროებების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვანია და თავშეკავებით საუბრობენ ნებისმიერ უკმაყოფილებაზე, რაც საქართველოში ყოფნის პერიოდში ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში დაუგროვდათ.

- საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა საჭიროებებს შორის, ყველაზე აქტუალურია. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ, საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის საჭირო სახსრებით იწყება, მათ წარმოდგენებში პოზიციონირებული „იაფი ქვეყნის“ მსხვრევა. თუმცა, კვლევის მონაწილეთა საჭიროებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სერვისებსა და მედიკამენტებზე, დასაქმებასა და შემოსავლებზე, ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობასა და საჭირო ნივთებზე, დოკუმენტაციის აღდგენა/მოპოვებასა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე აქცენტები.

- სერვისებზე წვდომა ის საკითხია, რომლის მიმართ კვლევის შედეგად, მსგავსი ინფორმირებულობის ხარისხი იკვეთება, თუმცა, უშუალოდ, სერვისების მიღების თვალსაზრისით, მკაფიო განსხვავებებია: რესპონდენტთა ნაწილი აქტიურად ადევნებს თვალს ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციას ყველა საშუალებით (ინტერნეტი, მეგობრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ), რესპონდენტთა ნაწილს აქვს გარკვეული ინფორმაცია, თუმცა, სერვისით არ უსარგებლია, კვლევის მონაწილეთა ნაწილს კი სერვისებით სარგებლობის გამოცდილება აქვს, თუმცა, არ აქვს წარმოდგენა მათი ხანგრძლივობის, ხასიათის, ინიციატორების შესახებ, რადგან ოჯახში გადაწყვეტილების მიმღებ პირს არ წარმოადგენს და ამ ტიპის პასუხისმგებლობა სხვა პირს აქვს აღებული.

- უკრაინელ ლტოლვილთა შორის, ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ბავშვები, ხანდაზმული პირები, ქრონიკული დაავადებების მქონე ან შშმპ ოჯახის წევრები, განსაკუთრებით ამახვილებენ სპეციფიკური სერვისების შესახებ ინფორმაციის საჭიროებაზე აქცენტებს. საგულისხმოა, რომ ინფორმირებულობა პროგრამების, ან თუნდაც ერთჯერადი სერვისების შესახებ, იმდენად დიდ გამოწვევას წარმოადგენს და იმდენად მოთხოვნადია, რომ რთულია, უშუალოდ სერვისების ხარისხის შეფასების ობიექტურობაზე მსჯელობა.

- საქართველოში უკრაინელ მოქალაქეთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლებია. დასაქმების პრობლემებს შორის, აქტუალურია დაბალკვალიფიციური ვაკანსიები, დაბალი ანაზღაურება, დისტანციურად დასაქმების დაბალი შესაძლებლობა ბავშვიანი მშობლებისთვის.

- სასკოლო განათლებას ბავშვების უმრავლესობა ონლაინ რეჟიმში უკრაინულ სკოლებში აგრძელებს. უკრაინული სექტორის მქონე სკოლათა მცირე რაოდენობა და სახელმძღვანელოები უკრაინულ ენაზე რესპონდენტებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია სპორტული და კულტურული აქტივობების ნაკლებობა.

- კვლევის მონაწილეთა უმრავლესობისთვის ფსიქოლოგიურ პრობლემებს ქმნის გაურკვევლობის შეგრძნება, რაც ომის დასრულების და სახლში დაბრუნების მოლოდინთან არის დაკავშირებული. ამასთან, იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების პრობლემა აქვს, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას საინფორმაციო საშუალებებთან წვდომის უზრუნველყოფაზე, რომ თუნდაც ერთჯერად აქტივობაში ჩართულობით შეცვალოს/გააუმჯობესოს ყოველდღიურობა.

- ენა დიდი პრობლემაა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლობენ რუსულ და ქართულ სექტორებში. მშობლები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ქართული ენის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია გვთავაზობს ასეთ გაკვეთილებს (მაგ., ASB ქუთაისში), მშობლების თქმით, ისინი მხოლოდ საბაზისო ცოდნას უზრუნველყოფს და არ არის მორგებული სკოლის მოსწავლეების საჭიროებებზე.

- არიან ოჯახები, რომლებიც განმარტავენ, რომ საქართველოში დარჩენა სურთ და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნებას არ აპირებენ, რადგან იქ მათი სახლები დანგრეული ან დაზიანებულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ლტოლვილების ინტეგრაციის პროცესისთვის გეგმის შემუშავება, რაც კომპლექსურად მოიცავს ყველა საჭიროებას.

- საქართველოში უკრაინელ მოქალაქეთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლებია. დასაქმების პრობლემებს შორის, აქტუალურია დაბალკვალიფიციური ვაკანსიები, დაბალი ანაზღაურება, დისტანციურად დასაქმების დაბალი შესაძლებლობა ბავშვიანი მშობლებისთვის.

- სასკოლო განათლებას ბავშვების უმრავლესობა ონლაინ რეჟიმში უკრაინულ სკოლებში აგრძელებს. უკრაინული სექტორის მქონე სკოლათა მცირე რაოდენობა და სახელმძღვანელოები უკრაინულ ენაზე რესპონდენტებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია სპორტული და კულტურული აქტივობების ნაკლებობა.

4. ანგარიშის ძირითადი ნაწილი

4.1 საქართველოში ჩამოსვლა

კვლევაში მონაწილე უკრაინელ მოქალაქეთა უმეტესობა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილიდანაა - ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ფრონტის ხაზიდან და აქტიური საბრძოლო ზონებიდან.

კვლევაში ჩართულ პირთა უმრავლესობა საქართველოში დარიალის (ლარსის) სასაზღვრო პუნქტის კვეთის შედეგად შემოვიდა (82%), დანარჩენი რესპონდენტები ქვეყანაში ქუთაისისა (10%) და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების (5%) საშუალებით შემოვიდნენ, ხოლო 3%-მა სომხეთისა და თურქეთის საზღვარი გადმოკვეთა.

უკრაინელი ლტოლვილების საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი ძირითადად, სახლთან ახლოს მდებარეობა (35%), ქვეყანაში დაბალი ფასების მოლოდინი (20%), საქართველოში ოჯახის წევრების/მეგობრების ყოფნა (18%) იყო. რესპონდენტთა ნაწილისთვის მნიშვნელოვანი იყო ნაკლები ენის ბარიერი და ქართულ საზოგადოებასთან სიახლოვის განცდა (სხვა ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ნაწილისთვის საქართველოში ჩამოსვლა ერთადერთ ხელმისაწვდომ, შედარებით მარტივ საშუალებას წარმოადგენდა.

დიაგრამა 1. რამ გიბიძგათ საქართველოში ჩამოსვლისკენ?



ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავდნენ რომ უკრაინელების საქართველოში შემოსვლის ძირითადი ფაქტორი, ქვეყნის შესახებ უკვე ჩამოყალიბებული წარმოდგენები და კულტურულ-ტრადიციული სიახლოვე იყო. მეგობრებისა და ნათესავების საქართველოში ყოფნა, რესპონდენტებისთვის, სწორედ ქვეყანასთან წარსულში დაახლოების ან გაცნობის საფუძველია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახლობლების საქართველოში ყოფნა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისთვის ძირითად მიზეზებად არ განიხილება, რადგან კარგად ჰქონდათ გააზრებული, ახალ გარემოში წამოჭრილი გამოწვევების სირთულეები, რასაც ახლობლების პასუხისმგებლობად ვერ აქცევდნენ. საცხოვრებელი პირობები, დაბალი ფასები და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა, ასევე იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები. რაოდენობრივი კვლევის მსგავსად, რესპონდენტთა ნაწილის გადმოცემით, უფრო ნაკლები ენობრივი ბარიერია, ვიდრე ევროპაში და ამავდროულად, ისინი გრძნობენ კულტურულ მსგავსებას, პოზიტიურ ურთიერთობებს და ქართველების მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების გადმოცემით, მათი ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები აძლევდნენ ინფორმაციას საქართველოში გადაადგილების ხელმისაწვდომობისა და სიმარტივის შესახებ, რაც სხვებთან ერთად, იმ პირების გადაწყვეტილების მიზეზადაც იქცა, ვინც ზოგადად, პირველად დატოვა საკუთარი საცხოვრებელი (ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეკონომიკური მდგომარეობის გამო).

> *ვიცი, რომ მთავრობის წევრები ურჩევდნენ ხალხს საქართველოში გამომგზავრებას. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ აქ ჩვენთვის უსაფრთხო გარემო დაგვხვდებოდა. ჩვენ მეზობელმა გვირჩია, მას ჰყავდა ნაცნობები ადგილობრივ მმართველობაში. თვითონაც საქართველოში ჩამოვიდნენ. მე ხერსონიდან ვარ, მაგრამ ვიცი, რომ დონეცკიდან დევნილებსაც ჰქონდათ მთავრობისგან შეთავაზება საქართველოში გამომგზავრებაზე.* (ქალი, 48 წლის, ხერსონის ოლქიდან)

> *არ ვიცი ოფიციალურად გამოცხადდა თუ არა, მაგრამ საქართველოში მითხრეს ჩემმა უკრაინელმა მეგობრებმა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წევრებს ჰქონდათ საქართველოს მიმართ მადალი ნდობა და ვინც პირველად ჩამოდიოდა, ურჩევდნენ, რომ აქ ფინანსურად უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა ცხოვრება იაფი დასების გამო. თუმცა, ფასები რეალურად არც ისე იაფია, განსაკუთრებით ბინის ქირაობა.* (კაცი, 52 წლის, ოდესის ოლქიდან)

> *უსაფრთხოება არ იყო მთავარი მიზეზი, რადგან მთელი მსოფლიო უთანაგრძნობს ჩვენს ხალხს. საქართველოში ჩამოვედი მეგობრების გამო. აქ უკვე ნამყოფი ვიყავი და ვიცოდი ქართველების სტუმართმოყვარეობის შესახებ. თან გარემო იყო ნაცნობი. იმ დღეებში არც განათლებაზე, არც მედიცინაზე, არაფერზე ვფიქრობდი გარდა იმისა, რომ ცეცხლმოკიდებული სახლები არ დამენახა, მაგრამ ჩემმა მეუღლემ მირჩია, რომ აქ ბავშვი შეძლებდა სკოლაში სიარულს, რადგან რუსულად სწავლა მაინც იყო ხელმისაწვდომი.* (ქალი, 32 წლის, ხარკოვის ოლქიდან)

უკრაინელ ლტოლვილებთან დაკავშირებული ნებისმიერი კვლევის პრეამბულა ითვალისწინებს, უშუალოდ მათ მშობლიურ ქვეყანაში მიმდინარე პერიოდში არსებულ ვითარებას. მიმდინარე ომის პირობებში, ცხადია, რესპონდენტების მიერ გადმოცემული დამოკიდებულებები ამა თუ იმ საკითხზე, დიდწილად მოიცავს განვლილ ან მომავლის მიმართ არასტაბილური განწყობებით გამოწვეულ სტრესორებზე მითითებებს. კვლევის პერიოდში ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტთა ოპტიმისტური განწყობების მიუხედავად, პრაგმატული ხასიათის გადაწყვეტილებებზე დისკურსიც მოცული იყო ემოციური შთაბეჭდილებების გაზიარებით. ერთ-ერთი სირთულე, რაც კვლევის მონაწილეთა სტრესთან იყო დაკავშირებული, საქართველოში შემოსვლის გამოცდილებას ეხებოდა.

ცხადია, რესპონდენტთა გამოცდილება განსხვავებულია საზღვრის კვეთის ფორმებისა და შემთხვევითობების გათვალისწინებით, როცა „გაუმართლათ და უპრობლემოდ გადმოკვეთეს საზღვარი“. თუმცა, ის მოქალაქეები, ვინც ქვეყნის დატოვება მხოლოდ რუსეთის გავლით შეეძლო, ან სხვა ქვეყნის გავლით შემოვიდნენ, განსაკუთრებით აეკეთებდნენ აქცენტს გადაადგილების სირთულეებზე. ძირითად პრობლემებს შორის დასახელდა: ლარსის საზღვარზე დიდი ხნის ლოდინი; რუსეთის ტერიტორიაზე უკრაინული ლიცენზიის მქონე მანქანების შემოწმება (ყველა რესპონდენტი იყენებდა სიტყვას „ჩხრეკა“); - უკრაინელ მოქალაქეებს შორის, მამაკაცების განსაკუთრებული წესით დაკითხვა; - სხვა ქვეყნიდან შემოსული რესპონდენტების მგზავრობის ხანგრძლივობა ქალაქიდან-ქალაქამდე (5 დღიდან 2 კვირამდე ვადით).

თვისებრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა აღნიშნავდა, საქართველოში შემოსვლის პრობლემებს, იმ რესპონდენტების გარდა, ვინც ფრენით/აეროპორტების საშუალებით გადმოკვეთეს საზღვარი.

> *26 საათი ვიყავით გზაში. 2 ბავშვი მოგვყავდა. რა თქმა უნდა, ლამეც მოგვიწია მგზავრობა. ჩემი მეუღლე ხერსონში დარჩა, მაგრამ მომყვებოდა 38 წლის ძმა, რომელიც უკან უნდა დაბრუნებულიყო. ჩვენ ეროვნებით რუსები ვართ, მაგრამ ლარსზე ისეთი დაკითხვა მოუწყვეს, მეგონა, არ გამოუშვებდნენ საქართველოში. საშინელი სტრესის ქვეშ ვიყავი. ვცდილობდი ბავშვებს არ ენერვიულათ, მაგრამ არ გამომდიოდა.* (ქალი, 27 წლის, ხერსონიდან)

> *მანქანას არ გვატანდნენ ლარსზე. ჯერ გვითხრეს, ახალი წესია, კანონში ცვლილება შევიდაო, მერე სხვა ადამიანი მოვიდა და თქვა, რომ ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ. როგორ ფიქრობთ, ეგრევე დაიწყეს ჩხრეკა?! 2 საათი ველოდით, როდის მოვიდოდა ვინმე, ვინც მანქანას გაჩხრეკდა. თითქოს ნერვებზე თამაშობდნენ. ეს გაგაფხულამდე ხდებოდა, გაგაფხულის მერე ვინც გადმოვიდა, პრობლემები მინიმალურად შეხვდა.* (ქალი, 41 წლის, ხარკოვიდან)

> *ყველა ქალაქს ვერ დავასახელებ, რაც გამოვიარე სანამ საქართველოში ჩამოვედით. საზღვარზე პრობლემები თითქმის არ გვქონია, მაგრამ ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება იყო საშინელება, თან საშინელი სიცივე. კიდევ კარგი პოლონეთიდან თვითმფრინავით გამოგვიშვეს, როგორც ვიცი უფასოდ. რაც მსტრესავდა იყო გაურკვევლობა, არ ვიცოდი საქართველო იყო თუ არა ბოლო წერტილი, თუ კიდევ სადმე მომიწევდა გადასვლა. თუმცა, აქ ძალიან კარგად დამხვდნენ და კარგია, რომ აქ ჩამოვედი.* (ქალი, 34 წლის, ხერსონიდან)

კითხვაზე „თქვენი ვარაუდით, რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში დარჩენას?“ არცერთი რესპონდენტი არ ასახელებს 4 თვეზე ნაკლებ პერიოდს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 6 თვეზე მეტ პერიოდს რესპონდენტების 85% ასახელებს. შესაბამისად, ლოგიკურია საქართველოში უკრაინელ მოქალაქეთა დაცულობაზე საუბარი, თუმცა, ბუნებრივია, რომ არსებობს სხვა აქტუალური გამოწვევები.

სხვა ქვეყანაში გადასვლის გეგმები, კვლევის მონაწილეებს შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაოდენობრივად, რესპონდენტთა 15%-ის გადმოცემით, არ აქვს ინფორმაცია, გადავა თუ არა სხვა ქვეყანაში, თუმცა, იცის, რომ მესამე ქვეყანაში გამგზავრება უახლოესი მომავლის გეგმების ნაწილი არ არის. თვისებრივი კვლევის მონაწილეებს შორის გამოიკვეთა აზრი, ესპანეთში, გერმანიაში, რუმინეთში შესაძლებელი გადაადგილების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ მათი ახლობლები ამ ქვეყნებში დარჩებიან და გარანტირებულად ექნებათ ინფორმაცია საქართველოზე უკეთესი ყოფითი პირობების შესაძლებლობების შესახებ. სხვა შემთხვევაში, ქვეყნიდან გასვლა მათთვის პერსპექტიულად არ განიხილება.



4.2. ძირითადი საჭიროებები

კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინელ მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების პრობლემები და საჭიროებები მსჯელობის აქტუალური საგანია. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო პროგრამების, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიუხედავად, მატერიალური პრობლემები უკრაინელი მოქალაქეებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით აქტუალური განთავსების/საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემები, ძირითადად, იჯარის მაღალი გადასახადების გამო.

კვლევამ აჩვენა, რომ ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში უკრაინელი ლტოლვილებისთვის ღამისთევა და სხვა სახის დახმარების შეთავაზების პრაქტიკა, სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული თავშესაფრების (დასახელდა კარიტასის, "ნინო ქათამაძის ფონდის" ინიციატივა ლტოლვილთა თავშესაფარში განთავსების შესახებ, ღია საზოგადოების ფონდის „შეიფარე უკრაინელი სტუმარი" კამპანია) გარდა, სოციალური მედიის ჯგუფების მეშვეობითაც არსებობდა (ფეისბუქ გვერდები - ukraina.ge, dopomoga Ukraini, ქართველები უკრაინისთვის). ამასთან, სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელიც 2022 წლის 1 აგვისტოდან უკრაინის მოქალაქეების სასტუმროებში განთავსებას აფინანსებდა, საზოგადოების წევრებმა და პოლიტიკური პარტიებმაც კი შესთავაზეს საცხოვრებელი. თუმცა, ბუნებრივია, რომ ერთი მხრივ, საქართველოში შემოსულ უკრაინელ მოქალაქეთა რაოდენობას დასახლებული ინიციატივები ვერ ფარავს, ამასთან, კონკრეტული შეთავაზებები არ გულისხმობს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას (ასეთია თავად რესპონდენტების დამოკიდებულება შეთავაზებების მიმართ).

> *ძალიან მადლიერები ვართ ქართველების დახვედრით. ხალხმა ყველაფერი გააკეთა, რომ პრობლემები შეემსუბუქებინათ. საცხოვრებლებსაც კი გვთავაზობდნენ მოქალაქეები. პოლიტიკური პარტიებიც ჩაერთნენ ამ პროცესში, თუმცა, ჩვენ არ ვიცით რამდენი ხნით ვრჩებით ქვეყანაში და ვერცერთი თავშესაფარი და ადამიანური შემოთავაზება ვერ გაგრძელდება დიდი ხნით. ჩვენთვისაც ქმნის უხერხულობას. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პროგრამებს არ ვგულისხმობ, რადგან ამ შემთხვევაში ქვეყანა იღებს ვალდებულებას და იცი, რომ ადამიანს არ აწუხებ, რომელმაც საკუთარი საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს პირველ რიგში.* (კაცი, 38 წლის, ხერსონიდან)

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა ნაქირავებ სახლებში ცხოვრობს (85%), სადაც ბინის ქირას თავად იხდიან. რესპონდენტების 10% ცხოვრობს მასპინძელი ოჯახის ბინაში, მათ შორის, 4% უცნობი მასპინძლის ბინაში, რომლებმაც ჰუმანიტარული მიზნებით მისცეს ცხოვრების უფლება. მცირე ნაწილი, დროებით ცხოვრობს ახლობლების/მეგობრების თავისუფალ ბინაში.

დიაგრამა 3. სად იმყოფებით/ცხოვრობთ თქვენ და თქვენი ოჯახი (თუ თან ახლავს)?



თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ საქართველოში საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რიგი პრობლემები ახლავს. მათ შორის, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც რესპონდენტები ბინას ქირაობენ.

პირველ რიგში, მარტყოფში განთავსებულ მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში თავშესაფრის მაძიებლის განთავსების წესი გულისხმობს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საერთაშორისო დაცვაზე სამინისტროსთან განცხადებით მიმართვას.

მიმღებ ცენტრში პირის განთავსების ვადა დამოკიდებულია მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებული თავშესაფრის პროცედურის ხანგრძლივობაზე.[12] მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრით სარგებლობის ვადები ძირითადად, 2-3 თვით შემოიფარგლება და ეს მცირე პერიოდი არ ნიშნავს საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რესპონდენტების გადმოცემით, მარტყოფის თავშესაფარში არ არის ადგილები და ნებისმიერ შემთხვევაში, განთავსება რთულდება.

ბინის დაქირავების მცდელობას ახლავს სხვადასხვა სახის სირთულეები:

1. ცნობილია, რომ მიმდინარე ომის პირობებში, საქართველოში უკრაინელი მოქალაქეების გარდა, დიდი რაოდენობით შემოვიდნენ რუსეთის მოქალაქეები, შესაბამისად, უძრავი ქონების ბაზარზე ბინებზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია ფასების მატება (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში). 300 ლარიანი სახელმწიფო დახმარება ვერ უზრუნველყოფს ქირის ხარჯებს;

2. რესპონდენტთა გადმოცემით, ადგილი აქვს ბინის მეპატრონეთა მხრიდან უარებს, უკრაინელ ლტოლვილთა მოწყვლადობის გამო. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები გაგებით ეკიდებიან, ადგილობრივი მოსახლეობის შფოთვის მიზეზს, საჭიროების შემთხვევაში, ბინის დაცლის გარანტიებთან დაკავშირებით.

თვისებრივი კვლევის მონაწილე 2 რესპონდენტს აქვს მარტყოფის თავშესაფარში ცხოვრების გამოცდილება. უშუალოდ, თავშესაფარში არსებული პირობები პოზიტიურად ხასიათდება, მიუხედავად მთელი რიგი შეზღუდვებისა (კანონით განსაზღვრული წესები). *„წესები უნდა დაიცვა, ხალხმრავლობაც არის, მაგრამ ამასაც აქვს თავის ხიბლი, რომ არ გაწუხებდეს, თავშესაფრიდან გასვლის შემდგომ პერიოდზე ფიქრი.“* (ქალი, 30 წლის, ხერსონიდან)

უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფას, საკმაოდ აქტიურად ახორციელებს Dopomoga Ukraini - უკრაინისთვის გუნდი. ორგანიზაციის მიწერ შექმნილ ვებ-გვერდზე თავმოყრილია ყველა შესაძლო ინფორმაცია უძრავი ქონების ქირაობასთან თუ თავშესაფრებთან დაკავშირებით. ამასთან, საქართველოში მოქმედი მოხალისეობრივი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ეხმარებიან უკრაინის მოქალაქეებს დაბინავებაში.

გარდა ამისა, ონლაინ პლატფორმა relocation.ge ერთმანეთთან აკავშირებს უკრაინელებს, რომლებიც იმყოფებიან რთულ სიტუაციაში იმ ადამიანებთან, რომლებიც მზად არიან დასახმარებლად, მათ შორის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებზე.

Dopomoga Ukraini - უკრაინისთვის ორგანიზაციისგან, ასევე, პრაქტიკული და სასარგებლოა ინფორმაცია შესაძლებლობებზე, რომ ყველა ადამიანს, ვინც მუშაობს ყიდვა/გაყიდვა/გაქირავების ბიზნესში და აქვს სურვილი დაეხმაროს უკრაინის მოქალაქეებს ბინების მოძიებაში ან სხვა დაბინავებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ შეუძლიათ განათავსოთ პოსტი Dopomoga-ს პლატფორმის ოფიციალურ ფეისბუქ-ჯგუფში, ისევე, როგორც შეუძლიათ ისარგებლონ პლატფორმების საშუალებით უკრაინის მოქალაქეებს რომლებიც ეძებენ საცხოვრებელს თუ დამატებით ექნებათ კითხვები ან ენდომებათ თავიანთი განცხადება განათავსონ.

12 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3556703?publication=0

4.3 ეკონომიკური მდგომარეობა/დასაქმება

უკრაინელ მოქალაქეთა ეკონომიკური მდგომარეობა შემოსავლებისა და დასაქმების თვალსაზრისით, ასევე, მწვავე საკითხია. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის იმ მონაწილეთა დაახლოებით მეოთხედი, ვინც ბინას ქირაობს, აღნიშნა, რომ მათი შემოსავლების 70-80% ბინის ქირის დაფარვას ხმარდება.

კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინელ ლტოლვილთა უმრავლესობას (88%) უკრაინაში დასაქმების გამოცდილება აქვს, თუმცა საქართველოში დიდ ნაწილს ამ მხრივ პრობლემები აქვს. უკრაინაში დასაქმების გამოცდილება დიდწილად მოიცავს სახელმწიფო სექტორში დასაქმებას (56%), ფერმერობას (15%), კერძო სექტორში დასაქმებას (18%) და ა.შ.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, კვლევის მონაწილეთა 52% არ არის დასაქმებული, მათ შორის, 7% პენსიონერი და სტუდენტია. რესპონდენტთა 15% კერძო ბიზნესის თანამშრომელია, ხოლო 10% თვითდასაქმებული. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 10% მოხალისეობრივი საქმიანობით არის დაკავებული. 5% დასაქმებულია არასამთავრობო სექტორში, 4%-ს საკუთარი ბიზნესი აქვს, იგივე რაოდენობა კი პერიოდულად, ერთჯერად ან სეზონურ საქმიანობას ახორციელებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მესამედის გადმოცემით (31%), მათი ოჯახის წევრები არიან დასაქმებულნი (ერთი მაინც).

დიაგრამა 4. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი სამუშაო გამოცდილება საქართველოში ყოფნის შემდეგ



საქართველოში სამსახურის მაძიებელი რესპონდენტების (58%) ძირითადი რაოდენობა დასაქმებას მეგობრების, ახლობლების დახმარებით ცდილობს (44%). კვლევამ აჩვენა, რომ კერძო დასაქმების სააგენტოებსა და ინტერნეტით გამოცხადებული ვაკანსიებით დაინტერესება რესპონდენტებში, ასევე აქტუალურია (14% თითოეული საშუალებით). კვლევის მონაწილეთა 10% დისტანციურ სამუშაოს ეძებს, ძირითადად, საზღვარგარეთ. რესპონდენტები, სამუშაოს საშოვნელად პირადად მიმართავენ თავისი სპეციალობის დამსაქმებლებს (8%), მონაწილეობენ გასაუბრებებში (6%), მიმართავენ დონორ ორგანიზაციებს დახმარებისთვის (4%).

დიაგრამა 5. რა ნაბიჯები გადადგით სამუშაოს ძიებისას?



გამოკითხულთა 42% არ ეძებს საქართველოში სამსახურს, რასაც სხვადასხვა მიზეზებით ხსნის. დასახელებულ მიზეზთა შორის, ყველაზე აქტუალურია:

დროის მენეჯმენტი - რესპონდენტების გადმოცემით, ბავშვიან მშობლებს ან მათ, ვისაც ხანდაზმული პირი, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, ან შშმ პირი ჰყავს და არ ჰყავს დამხმარე სხვა ოჯახის წევრი, უჭირს სამსახურის გრაფიკზე მორგება. მითუმეტეს, რომ საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი უფასო მოვლის სერვისები, ხანდაზმულების, დაავადებული პირების, ბავშვებისთვის, სადაც გარკვეული დროით შეძლებენ მათ დატოვებას.

ენობრივი ბარიერი - უნდა აღინიშნოს რომ უკრაინელ მოქალაქეებს პროფესიული ცოდნის მაღალი დონის მიუხედავად, რასაც მათი განათლების სტატუსი ადასტურებს, არ აქვთ ქართული და ინგლისური ენების ცოდნა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ინგლისური ენის შესწავლით მეტად დაინტერესებულნი არიან, ვიდრე ქართული ენის, რადგან აცხადებენ, რომ ორი ენის სწავლა დიდ რესურს მოითხოვს მხოლოდ ქართული ენა კი კვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე საკმარისი არ არის (ეს ფაქტორი ძალზე დიდი მოულოდნელობაა უკრაინელი მოქალაქეებისთვის). თვისებრივი კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდები, კვალიფიციურ, საქართველოს პირობებში მაღალანაზღაურებად დასაქმების ადგილებზე სამუშაოს პოვნის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, სწორედ ენობრივ ბარიერს მიიჩნევენ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქართული ენის კურსები რეგიონებში მეტად მოთხოვნადია, შესაბამისად, ქუთაისსა და ბათუმში ენის კურსების გახსნა მნიშვნელოვანია. ამასთან, სასურველია ენის კურსები პირისპირ სწავლებაზე იყოს დაფუძნებული და არა ონლაინ კურსებზე, რადგან ონლაინ სწავლების მიმართ რესპონდენტებს სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა - საინტერესოა რესპონდენტთა დამოკიდებულება შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ - ნაწილი თვლის, რომ გარკვეული პროფესიები საქმიანობისთვის განსხვავებულ ტექნოლოგიებს იყენებენ, რომელთა შესახებ ინფორმაცია აქვთ, თუმცა, უკრაინაში მეტად თანამედროვე ტექნოლოგიებია პოპულარული (მაგალითად, ინტერიერის დიზაინერები, პროფესიული დარგის სპეციალისტები).

ნაწილი თვლის, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სპეციალობით დასაქმებისთვის მათ გარკვეული ცოდნის მიღება სჭირდებათ დამატებით (შესაძლოა მოკლევადიანი, თუმცა, საჭიროება გარდაუვალია). ამასთან, რესპონდენტთა ნაწილს არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი, სურს თუ არა ახალი ცოდნის/უნარების შეძენა, თუნდაც სათანადო დასაქმებისთვის, რადგან დასაქმების პერსპექტივას დამატებითი ინტელექტუალური რესურსების ხარჯვის გარეშეც ოპტიმისტურად უყურებს.

დაბალი ანაზღაურება - რესპონდენტების აზრით, კვალიფიკაციისა და ენობრივი ბარიერის სირთულეებთან დიდწილად არის დაკავშირებული დაბალი ანაზღაურება. თუმცა, უკრაინის დასაქმების ბაზარზე სახელფასო პოლიტიკასთან საქართველოს შრომის ბაზარს არ ადარებენ, რადგან ყველა საფეხურზე აშკარაა ანაზღაურების ოდენობებს შორის სხვაობა. უფრო მეტიც, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ დაბალკვალიფიციურ სამსახურებში ანაზღაურება უკრაინაში ადეკვატურ სამსახურებთან შედარებით, მინიმუმ ორჯერ დაბალია. მიუხედავად ამისა, ბევრი მათი თანამემამულე თანხმდება მსგავს სამსახურებზე, რაც მათი ფინანსური მდგომარეობის სიმწვავეზე მიუთითებს.

ვაკანსიების, პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციის სიმწირე - კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინელი მოქალაქეებისთვის, როგორც სხვა მიმართულებებში, დასაქმების თვალსაზრისითაც, დიდ გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციის სიმწირე. რესპონდენტების უმრავლესობა ნაცნობების და დონორი ან არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ეძებს სამსახურს. ამასთან, კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პლატფორმები, სადაც უკრაინელი მოქალაქეებისთვის მოხალისეები ან უკრაინელების თემებზე დასაქმებული ორგანიზაციები ათავსებენ ინფორმაციას, ძირითადად, დაბალი კვალიფიკაციის ვაკანსიები დევს, როგორიცაა დამლაგებელი, კურიერი, მიმტანი, კონსულტანტი, ძიძა, დამხმარე პროფილაქტიკაში, ბენზინგასამართ სადგურებზე ოპერატორი და ა.შ. მსგავსი ვაკანსიებით დაინტერესება რესპონდნენტთა ნაწილში, დაბალია. შესაბამისად, ერთგვარი ნიჰილისტური განწყობა, რომ „უკეთესს მაინც ვერ იპოვის“, საქართველოში სამსახურის ძიების მიმართ მათ სკეპტიკურად განაწყობს.

სამომავლო პერსპექტივა - რესპონდენტების ნაწილისთვის, უახლოეს ხანებში უკრაინაში დაბრუნების პერსპექტივა, ყოველდღიური წესრიგის შემადგენელია. განსაკუთრებით ამ რესპონდენტთა მოტივაცია, დასახელებული ბარიერების დაძლევისთვის, დაბალია. მათთვის ცოდნის მიღება, განსაკუთრებით ენის სწავლა ან ვაკანსიების ძებნა დროებითი აქტივობებია და „არ უღირთ“ ენერგიის ხარჯვა.

თვისებრივი კვლევის მსგავსად, რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ კვლევის მონაწილეთა გამოცდილებით, სამუშაოს შოვნას ახლავს შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ენის ბარიერი
- ინფორმაციის ნაკლებობა შრომის ბაზარზე არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ
- კონტაქტების/ქსელების/პროტექციის არარსებობა
- სამუშაო ადგილების დეფიციტი
- დაბალი ანაზღაურება
- სპეციალობით დასაქმება/დაბალი კვალიფიკაციის ვაკანსიები

საქართველოში დასაქმებისთვის ხელშემწყობ ქმედებებს შორის, რესპონდენტთა 38% ასახელებს არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, იგულისხმება ნებისმიერი კვალიფიკაციის ვაკანსიები. კვლევის მონაწილეთა 24%-ის გადმოცემით, მნიშვნელოვანია ინგლისური ენის, ხოლო 8%-ის გადმოცემით - ქართული ენის შემსწავლელი ეფექტური პროგრამებით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილი ფასიან პროგრამებში ჩართვას მეტ უპირატესობას ანიჭებს, ხარისხიანი სწავლების გამო, თუმცა, ბუნებრივია, მათთვის მნიშვნელოვანია გარკვეული შეღავათების დაწესება.

რესპონდენტების 15% აღნიშნავს, რომ საჭიროა სხვადასხვა სპეციალობების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში/შემსწავლელ კურსებში ჩართვა. ძალზე მცირე ნაწილი ასახელებს პროფესიული სწავლების მიმართ ინტერესს (ძირითადად, ქალები ინტერესდებიან მედდის, გიდების პროგრამის, სხვადასხვა ხელსაქმეების შემსწავლელი პროფესიული კურსებით.)

არასამთავრობო ორგანიზაცია „დაპამოგას“ განმარტებით, შეიქმნა დასაქმების ინტერნეტ-პორტალი www.happymonday.ua, რომელიც ომით დაზარალებულ უკრაინელებს სამსახურის ძიებაში ეხმარება. პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია ევროპის მასშტაბით უკრაინელებისათვის ხელმისაწვდომი ვაკანსიების შესახებ. ამასთან, ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება და მეტად შევსება აქტიურად მიმდინარეობს. ვაკანტური პოზიციების უმეტესობა დისტანციურ მუშაობას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ არსებული მონაცემებით, დიზაინერი, ილუსტრატორი, მარკეტერი, კოპირაიტერი - ჩამოთვლილ და სხვა მსგავს პროფესიებზე დიდი მოთხოვნაა.

4.4 განათლება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები, რომლებიც უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ აგრძელებენ ზოგადი განათლების მიღებას უკრაინის სკოლებში და გამოხატავენ სურვილს, სწავლა გააგრძელონ საქართველოში, სკოლებში გამარტივებული წესით ირიცხებიან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის ბოლოს თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა ასაკის 2300-ზე მეტი მოსწავლე უკვე ჩარიცხული იყო. თბილისსა და ბათუმში უკრაინულენოვან სექტორზე 1500-ზე მეტი ბავშვი აგრძელებდა ზოგადი განათლების მიღებას. უკრაინულ სექტორებზე დასაქმებული იყო უკრაინიდან ჩამოსული 60-ზე მეტი მასწავლებელი და უკრაინულენოვანი საქართველოს მოქალაქე. ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური უკრაინელი მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. უკრაინულენოვანი სექტორის ხელმძღვანელებად ასევე დანიშნული არიან უკრაინიდან ჩამოსული სპეციალისტები.[13]

კვლევაში მონაწილე ბავშვიანი ოჯახებიდან 34% სწავლობს უკრაინულ სექტორში თბილისსა და ბათუმში. 41% საქართველოს სკოლებში არ ირიცხება (რესპონდენტები აცხადებენ, რომ ონლაინ სწავლებაში არიან ჩართულნი), 18%-ის გადმოცემით, ბავშვები მომავალი სემესტრიდან საქართველოს სკოლებში განაგრძობენ სწავლას თუმცა, ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი, რომელ სკოლაში ივლიან ბავშვები. 6% რუსულ სექტორში სწავლობს, თუმცა, რესპონდენტების გადმოცემით, მაგალითად, ქუთაისის სკოლის რუსული სექტორის პროგრამა ნახევრად ქართულენოვანი გაკვეთილებით არის დაკომპლექტებული.

ბავშვთა სასკოლო სერვისების მიწოდებაზე მნიშვნელოვნად ზრუნავს UNHCR, UNICEF, World Vision. მხარდაჭერა საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების გარდა, გულისხმობს, სასკოლო სერვისების მიწოდების მხრივ, რესპონდენტთა გამოწვევების შესწავლას და რეკომენდაციების მომზადებას სახელმწიფო სექტორისთვის. ბავშვების საქართველოს სკოლებში რეგისტრაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი პრიორიტეტია და რეკომენდაციას უწევენ განათლების სამინისტროს, შეუქმნან უკრაინელ ბავშვებს ადეკვატური პირობები.

საინტერესო იყო, კვლევის მონაწილეთა განწყობა სასწავლო პროცესში ბავშვთა ჩართვის შესახებ. რესპონდენტთა უმრავლესობა (58%), უკრაინულ სკოლებში ონლაინ სწავლებიდან საქართველოს სკოლებში გადმოყვანას, მხოლოდ უკრაინული სექტორების ხელმისაწვდომობის პირობებში განიხილავს. საქართველოს სკოლაში დისტანციურ სწავლებას უპირატესობას ანიჭებს 14%. რესპონდენტთა მეათედის გადაწყვეტილება სამომავლო გეგმებთან არის დაკავშირებული. 6% თვლის, რომ ქართული ენის დაუფლების გარეშე ადგილობრივ სკოლებში ბავშვების სწავლა წარმოუდგენელია.

13 https://mes.gov.ge/content.php?id=13257&lang=geo

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ კიევიდან ლტოლვილი ოჯახების ბავშვებს სამომავლოდ ელით სკოლაში ონლაინ სწავლების შეზღუდვა, რადგან უპირატესობა ენიჭება ფიზიკურად გაკვეთილებზე დასწრებას. შესაბამისად, განსაკუთრებით კიევიდან ლტოლვილები საჭიროებენ ადგილობრივ სკოლებში რეგისტრაციას.

დიაგრამა 6. რა შემთხვევაში მიიყვანთ ბავშვს საქართველოს სკოლაში?



თვისებრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ისაუბრეს საგანმანათლებლო სერვისებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

- რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გაურკვევლობაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო ბაღებში მოწყობასთან დაკავშირებით. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ ლტოლვილის სტატუსის გარეშე ბავშვების დარეგისტრირება სახელმწიფო ბაღებში პრობლემაა. თუმცა, აქვთ ინფორმაცია, რომ ზოგიერთ საბავშვო ბაღში უკრაინელებს დაყავთ ბავშვები, მაგრამ მათ არ აქვთ ლტოლვილის სტატუსი. შესაბამისად, შექმნილია გაუგებრობა საბავშვო ბაღში რეგისტრაციის საკითხებზე, რაც განსაკუთრებით ართულებს მშობლების დასაქმებას.

- ქართული ენის მხარდაჭერა - ენა პრობლემაა ყველა ბავშვისთვის, რომლებიც სწავლობენ უკრაინულ სექტორში არ სწავლობენ. რესპონდენტებს სურთ, ქართული ენის შემსწავლელი გაკვეთილები იყოს ხელმისაწვდომი. მათ აქვთ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სთავაზობდნენ ენის გაკვეთილებს, თუმცა, მათი გადმოცემით, ეს არ არის პერმანენტულ რეჟიმში და არ მოიცავს სასკოლო პროგრამას, რაც ბარიერს ქმნის ადგილობრივ სკოლაში სწავლისთვის.

- საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია საბავშვო ბაღებსა და სკოლებში არსებულ სერვისებზე. თუმცა, მათ არ აქვთ წვდომა საქართველოში შვილების დამატებითი საგანმანათლებლოსერვისებისშესახებ,როგორიცაასხვადასხვაწრეები(მუსიკალური,კულტურული, სპორტული). უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა გადმოცემით, სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობა, ყოველთვის არ გულისხმობს უფასო სერვისებს. მათ უმრავლესობას, არანაირ სერვისზე არ აქვს ინფორმაცია და მნიშვნელოვანია, რაიმე საშუალებით იყოს ხელმისაწვდომი.

> *ბავშვს ძალიან უნდა მკლავჭიდზე სიარული. ვიცი, რომ მკლავჭიდის დაფინანსება, სასიცოცხლო მნიშვნელობის არაა და ფასიანი იქნება. მაგრამ ბავშვს ისე უნდა, გადავიხდი. თუმცა, არ ვიცი საქართველოში სად შეიძლება ამ სპორტში ჩართვა.* (კაცი, 35 წლის, ხარკოვიდან)

- სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა – ფინანსური რესურსების სიმცირის გამო, რესპონდენტებს უჭირთ ბავშვების უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით. განსაკუთრებით დიდი პრობლემაა სახელმძღვანელოები. ქუთაისში მშობლები დაინტერესდნენ უკრაინული სექტორის სკოლის გახსნის ან სულ მცირე, უკრაინული ენისა სასკოლო საგნად მიწოდების შესაძლებლობაზე.

> *სასკოლო სახელმძღვანელოები ბევრ ოჯახს სჭირდება. სკოლაში ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა, რომ უკრაინის მთავრობასთან საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ მოლაპარაკებას, რომ დროულად მოგვაწოდონ წიგნები, თუმცა, არ ვიცით, ეს ინფორმაცია მართალია თუ არა, ან დროული მოწოდება რას ნიშნავს. სასწავლო წლის ნახევარი უკვე გავიდა.* (ქალი, 30 წლის, ხერსონიდან)

- ონლაინ განათლება და იზოლაციის პრობლემები - მშობლების ნაწილის გადმოცემით, მათ შვილებს ონლაინ სწავლების პირობებში, ისედაც რთულ პერიოდში, მითუმეტეს, როცა ამ ომს კოვიდ-პანდემიის პირობების გამო ასევე, ონლაინ სწავლება უძღოდა წინ, ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. სწორედ ამიტომ გეგმავენ სასწავლო წლის შუა პერიოდიდან საჯარო სკოლებში ჩარიცხვას, თუმცა, არ აქვთ ინფორმაცია, რამდენად მარტივი/ან შესაძლებელია მსგავსი პროცედურები.

4.5 ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

უკრაინის მოქალაქეები, რომლებიც ომის შედეგად საქართველოში იმყოფებიან, სარგებლობენ მთელი რიგი უფასო სამედიცინო სერვისებით როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო კლინიკებისაგან.

სახელმწიფო სერვისები - მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ 2022 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 1 მაისამდე და უწყვეტად იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის მომსახურებით. სახელმწიფო სამედიცინო სერვისების მისაღებად არ არის საჭირო წინასწარი რეგისტრაცია ან აღრიცხვა რომელიმე უწყებაში. სამედიცინო სერვისებს შორისაა: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, იმუნიზაცია, ტუბერკულოზისა და აივ ინფექციის/შიდსის მკურნალობა, მათ შორის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, მათ შორის ანტენატალური მეთვალყურეობა და ახალშობილთა სკრინინგი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, მათ შორის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, დიალიზი, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა, Covid 19-ის მართვა, მათ შორის ტესტირება, ვაქცინაცია, ბინაზე და სტაციონარში მოთავსება, რეფერალური მომსახურება - გადაუდებელი საჭიროების სამედიცინო სერვისები, მათ შორის მშობიარობა, გადაუდებელი იმუნიზაცია.

კერძო კლინიკების მომსახურება - კერძო კლინიკების გარკვეული ნაწილი საქართველოში უკრაინის მოქალაქეებს სთავაზობს უფასო მომსახურებას, მათ შორის გადაუდებელ სტომატოლოგიურ, ქირურგიულ, ოფთალმოლოგიურ და სხვა მომსახურებას. Dopomoga Ukraini-ს გუნდი პერიოდულად ანახლებს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შეთავაზებების შესახებ.

14 https://shorturl.at/gioFU

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მყოფ რესპონდენტებს/ოჯახის წევრებს შორის, მაღალია ჰიპერტონიული დაავადებები (34%) (პასუხი არ იყო შეთავაზებული ჩამონათვალში, უპასუხეს სპონტანურად) და მაღალია ხანდაზმული ადამიანების რაოდენობა (32%), რომელთაც პერმანენტულად საჭიროებენ სამედიცინო მეთვალყურეობას, მინიმუმ მედიკამენტებით უზრუნველყოფას. რესპონდენტთა ოჯახებს შორის, 4%-ში გავრცელებულია მძიმე ქრონიკული დაავადებები, 8%-ს აქვს ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროება, ამასთან არიან ორსული ან მეძუძური ქალები (6%).

დიაგრამა 7. გაქვთ/გყავთ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს ჩამოთვლილთაგან რომელიმე საქართველოში?



უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე, რომელიც მესამე ქვეყანაში გამგზავრების ხელისშემშლელ ფაქტორებს განმარტავს, ოჯახების 15% თვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია.

მნიშვნელოვანია რესპონდენტთა ინფორმირების დონე, ჯანდაცვის სერვისებთან, მათ შორის ფსიქო-სოციალური მართვის სერვისებთან ხელმისაწვდომობის შესახებ. რესპონდენტთა 34% ასახელებს, რომ არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისების, ხოლო 55% - ფსიქო-სოციალური სერვისების შესახებ (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის შეღავათები).

შესაბამისად, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად, ჩანს, რომ უკრაინელი ლტოლვილების წინაშე არსებული გამოწვევები საქართველოში ჯანდაცვის მიმართულებით მოიცავს შემდეგს:

- **ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა** – თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უკრაინელ ლტოლვილთა ნაწილს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია უფასო ჯანდაცვის სერვისების შესახებ, მათ შორის მედიკამენტების შეღავათიან ფასში/ ან დახმარების ფარგლებში მიღების შესახებ. რესპონდენტები ამ მიმართულებით დახმარებას ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმეტესობა სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის არქონაზე საუბრობენ, რადგან თვლიან, რომ საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი, ზოგადად აქტიურად არის ჩართული მათი დახმარების პროცესში და ერთგვარ დისკომფორტს ქმნის მათი მხრიდან შეკითხვებით მიმართვის აქტიურობა. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ბათუმში მაცხოვრებლები განსაკუთრებით განიცდიან ინფორმაციის სიმწირეს, რადგან ყველა ხელმისაწვდომ პლატფორმაზე მეტი ინფორმაცია ეხება დედაქალაქში არსებულ სერვისებს.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილს აქვს ინფორმაცია „ევექსის“ ქსელში უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ კლინიკებს არ ჰყავთ ყველა კომპეტენციის ექიმები, მაგალითად, ქუთაისში ზოგადად, პრობლემაა დერმატოლოგი და ბავშვთა ნევროლოგი, რის გამოც თბილისში უწევთ ჩამოსვლა. ამასთან, „ევექსის“ კლინიკის ზრდასრულთა ნევროლოგმა თავად განაცხადა, რომ კონკრეტული დაავადების მართვის პრაქტიკა არ აქვს და უმჯობესია თბილისში, ორთაჭალის კლინიკაში ვიზიტი (ვერ აკონკრეტებს კლინიკას).

> *სამედიცინო კლინიკებში ვიზიტისას, ვხედავთ რომ ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ აქტიურად სარგებლობს ჯანდაცვის შეღავათიანი სერვისებით. ყველგან რიგებია და არაერთი მოქალაქე გვითანაგრძნობს. ყველა ცდილობს ესა თუ ის ინფორმაცია მოგვაწოდოს. ახსენებენ მერიის სამსახურებს, რომლებიც გარკვეულ სერვისებს აფინანსებენ, თუმცა, მათ არ იციან ვრცელდება თუ არა ეს ჩვენზე. გარდა ამისა, არ ვიცით, საჭიროა თუ არა სტატუსის ქონა, სახელმწიფო სერვისების მიღებისთვის. ზოგადად, ინფორმაციის სიმწირე მეტად გვაწუხებს.* (ქალი, 52 წლის, კიევიდან)

მაგალითად, Dopomoga უკრაინისთვის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ლტოლვილთა მიმართვიანობის ძირითადი მახასიათებელი ამა თუ იმ სერვისის შესახებ ინფორმაციის წვდომის საშუალებებს ეხება და არა უშუალოდ საჭიროებებზე სერვისის მიწოდებას (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ინფორმაცია ორგანიზაციის მისიის შესახებ).

World Vision in Georgia-ს ინფორმაციის საფუძველზე, ომის დაწყების შემდეგ უკრაინიდან შემოსულ პირებს (გარდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მქონე პირებისა) შეუძლიათ, მოითხოვონ მკურნალობის ხარჯების დაფინანსება. დაწესებულება, რომელშიც სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხდება, პაციენტის მოთხოვნით, ჯანდაცვის სამინისტროს პორტალს უგზავნის ფორმა 100-ს (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა 100) და კალკულაციას. განაცხადს ენიჭება საკონტროლო ნომერი, რომლითაც პაციენტი მიმართავს ჯანდაცვის სამინისტროს, უთითებს განაცხადის ნომერს. ასევე, შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი მედიკამენტების დასაფინანსებლად (მათ შორის ქრონიკული დაავადებები, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფს საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაც, რომელიც უკრაინელ ბენეფიციარებს შინმოვლის პროექტის ფარგლებში ემსახურება. უკრაინის მოქალაქეებს, ასევე, შეუძლიათ ისარგებლონ, სამედიცინო-სარეაბილიტაციო და ქრონიკული ჭრილობების მკურნალობის ცენტრების მომსახურებით.

- **მაღალი ფასები** - რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამედიცინო მომსახურების ფასები საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ, ხანდაზმული წევრები, ბავშვები ან ქრონიკული დაავადების მქონე ოჯახის წევრები (რიგ შემთხვევაში, ორი ან მეტი კატეგორია ერთად). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რეგულარულად მცხოვრებ უკრაინელ ლტოლვილებზე ვრცელდება ყველა ძირითადი სამედიცინო პროგრამა, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის არის ხელმისაწვდომი, რესპონდენტთა უმრავლესობის გადმოცემით, მათ არ უსარგებლიათ უფასო მომსახურებით. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს არ აქვთ ინფორმაცია რას გულისხმობს ძირითადი სახელმწიფო პროგრამა, შესაბამისად, თითქმის ყველა სერვისში უწევთ მაღალი ღირებულების გადახდა. კვლევის მონაწილეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უსარგებლიათ სტაციონარული უფასო მომსახურებითაც, თუმცა, ვერ აზუსტებენ, კონკრეტულად რომელი პროგრამის ფარგლებში დაიფარა მათი სამედიცინო ხარჯები. კვლევამ აჩვენა, რომ გულის დაავადებებით მიმართვიანობა საკმაოდ აქტიურია ლტოლვილებს შორის. გარდა იმისა, რომ კარდიოლოგიური მომსახურება მრავალკომპონენტიან კვლევას გულისხმობს და თითოეულის ღირებულება მაღალია, საკმაოდ ძვირია კარდიოლოგიური მედიკამენტები, რაც მათთვის ექიმთან ვიზიტის დაბრკოლებად იქცა. სერვისის მაღალი ფასით და მოთხოვნით გამოირჩევა სტომატოლოგია, სადაც შეღავათიან ფასებში მომსახურების არცერთი შემთხვევა არ დასახელდა.

კონსულტაცია, ექოსკოპია, დატვირთვის ტესტი, შეიძლება „კატე“-ც დაგჭირდეს - ეს ყველაფერი ძალიან დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. მეორე საკითხია, ეფექტური წამალი რომ იყიდო, 1 კოლოფში 98 ლარი გადავიხადე, თუმცა, 5 სხვადასხვა დასახლების წამალი მჭირდებოდა და დანარჩენები მხოლოდ 4 დღის ვიყიდე. როგორც ვიცი გულის დაავადებებს პროგრამები არ ანამღაურებს, თუ რომელიმე კლინიკა არ აცხადებს აქციას. ამ კლინიკებზე კი ინფორმაცია რთული მოსაპოვებელია, რადგან ვადა აქვს და ხშირად იცვლება. (კაცი, 57 წლის, დონეცკიდან)

- **სამედიცინო კვალიფიკაციების/სპეციალობების შესახებ ინფორმირებულობა** - კვლევის ფარგლებში რამდენიმე რესპონდენტისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ინფორმაციის სიმწირე, კონკრეტული პროფილის კვალიფიციური ექიმების შესახებ. გამომდინარე იქადან, რომ ამ რესპონდენტთა ოჯახის წევრებს დაავადებების რთული ფორმები აღენიშნებათ, მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომელი კლინიკა/ექიმი მოემსახურება ადეკვატურად "ზედმეტი ძებნის გარეშე, რადგან სხვა ექიმისგან გადამისამართება, ცალკე ხარჯებთან არის დაკავშირებული."

- **ფსიქოსოციალური დახმარება** - საინტერესოა, რომ ფსიქოსოციალური სერვისების შესახებ, რესპონდენტთა ინფორმირებულობის ხარისხი, ყველა სხვა სერვისთან შედარებით მაღალია. მათი გადმოცემით, ბევრი სამოქალაქო ორგანიზაცია უწევს უკრაინელებს ფსიქოსოციალურ მომსახურებას. გარდა ამისა, ონლაინ პლატფორმებზე მრავლად არის განთავსებული მსგავსი ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ბათუმშიც. ამ მხრივ, განსაკუთრებული პრობლემები აქვს ქუთაისს, რადგან ერთი მხრივ, რაც ხელმისაწვდომია, რესპონდენტების გადმოცემით მცირევადიანია, ხოლო სხვა სერვისებზე ინფორმაცია მწირია. ამასთან, აღინიშნა, რომ საჭიროა სოციალიზებული ფსიქოლოგები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ტრავმებთან და ომის გამოცდილებასთან მუშაობისას.

ის ფაქტი, რომ ომის დასასრული ჯერ არ ჩანს და გაურკვეველია, სად და როდის შეძლებენ დასახლებას, ამძიმებს სიტუაციას. ზოგიერთმა დაკარგა ყველაფერი, რასაც მთელი ცხოვრება აშენებდა და წასასვლელი არ აქვს. ვიცნობ ოჯახს, რომლის ორ წევრს პერიოდულად აქვს პანიკის შეტევები, შიში. ზოგ ადამიანს ხასიათის ხშირი ცვალებადობა ახასიათებს. ამიტომ პროფესიონალი ნევროლოგის ან ფსიქოთერაპევტის გარეშე ტრავმის მართვა შეუძლებელია.

ციით, ჩემი დისშვილი შვედეთში ცხოვრობს დიდი ხანია. მე გავზარდე, დედა ჰყავს გარდაცვლილი. ცოტა ხნის წინ გამაგებინა, რომ რაღაც სოციალურ კონკურსში ფულადი პრიზი მოიგო და უნდოდა გავეხარებინე „შენც გამოგიგზავნი ნაწილ ფულსო“. ფული არ არის მთავარი, სტუდენტია და კონკურსში მოიგო - თავს ძალას ვატანდი, რომ სიხარული გამომეხატა. ცოცხლები ვართ და ზოგჯერ ძალიან ბედნიერი დღეებიც გვაქვს, მაგრამ ვხვდები, რომ სიხარულის განცდა არ მაქვს. ასეთ მდგომარეობას კი 1 კვირიანი შეხვედრა ფსიქოლოგთან, რომელსაც სათანადო პრაქტიკა არ აქვს, ვერ უშველის. (ქალი, 60 წლის, დონეცკიდან)

4.6 დოკუმენტაცია და იურიდიული სერვისები

კვლევის შედეგებით, იურიდიული სერვისების შესახებ ინტერესი, გასული წლის განმავლობაში გაცილებით მაღალი იყო, რადგან ხალხში იყო დაბნეულობა და ქაოსი ახალ გარემოში ყოფით პრობლემებთან ერთად, დოკუმენტაციის მოწესრიგების საჭიროების გამო. ბოლო პერიოდში ამ მხრივ ლტოლვილებში გაიზარდა ინფორმირებულობის მაჩვენებელი, თუმცა, გარკვეული გამოწვევები მაინც დგას.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 42%-ს ყველა საჭირო დოკუმენტი აქვთ, მეოთხედს ზოგიერთი დოკუმენტი არ აქვს, 15% ელოდება გარკვეული დოკუმენტების მომზადებას, ხოლო 14% ვერ ადასტურებს აქვს თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი.

დიაგრამა 5. რა ნაბიჯები გადადგით სამუშაოს ძიებისას?



იმ რესპონდენტებს შორის, ვისაც დოკუმენტები სჭირდება, უმრავლესობა საერთაშორისო პასპორტს ასახელებს (უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა დედაქალაქში ცხოვრობს). ასევე, დასახელდა ბავშვის დაბადების მოწმობის, ჯანმრთელობის ცნობის, ატესტატის და დიპლომის, სხვადასხვა პროფესიული სერტიფიკატების საჭიროება. რესპონდენტების ნაწილი საქართველოში ამ დოკუმენტების გარეშე შემოვიდა. ისინი, ვინც სერტიფიკატებსა და დიპლომებს ასახელებენ, აქვთ მოლოდინი, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ დასაქმებაში დაეხმარება.

> *თითქოს დიპლომები აღარავის სჭირდება, მაგრამ გერმანიაში, მუსიკალური შვიდწლედის დიპლომი მოსთხოვეს ჩვენს ახლობლებს, საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებლად აეყვანათ და ხარკოვის გარეუბანში აღებული დიპლომით, მუშაობა დაიწყო.* (ქალი, 46 წლის, ხარკოვიდან)

ზოგიერთ მონაწილეს სჭირდება დახმარება ახალი ან დაკარგული დოკუმენტაციის მომზადებაში, რასაც ახლავს თეორიული ან პრაქტიკული ხასიათის დაბრკოლებები:

- საქართველოში არსებულ სერვისზე წვდომისთვის ან თუნდაც, მოგზაურობისთვის, უკრაინელებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება დღემდე ჭიანურდება. თბილისში პასპორტებს გასცემს უკრაინის საელჩო, თუმცა არის გამოწვევები რეგისტრაციის პროცედურებთან და ვადებთან დაკავშირებით. რესპონდენტების გადმოცემით, მაღალია მოთხოვნა დოკუმენტებზე და საელჩო პასპორტებს ვერ გასცემს ოპტიმალურ ვადებში. ფოკუს ჯგუფებზე გაჟღერდა მოსაზრება, რომ ზოგჯერ პროცესი 3 თვემდე იწელება (ძირითადად, თუ მოქალაქეობის დადასტურებას ითხოვენ). ამასთან, ვინაიდან საელჩოს მომსახურება თბილისში ხორციელდება, რეგიონში მაცხოვრებლებს განსაკუთრებით ექმნებათ პრობლემები დროის ფაქტორის გამო. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოითხოვეს, რეკომენდაცია გაეწიათ მთავრობისთვის, რომ უკრაინული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით ჰქონდეთ სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა, თუმცა, ჯერჯერობით დადებითი პასუხი არ ჩანს. უკიდურეს შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კარგი იქნება პასპორტის მიღებისთვის საჭირო პროცედურების ღირებულებებზე შეღავათების დაწესება (თარგმანი, ნოტარიული დამოწმება).

- ლტოლვილის სტატუსით დაინტერესება, კვლევის შედეგებით არ არის მაღალი. რესპონდენტებს აქვთ რამდენიმე არგუმენტი - ზაფხულის პერიოდამდე ჰქონდათ იმედი, რომ უკრაინაში დაბრუნება უმოკლეს დროში იქნებოდა შესაძლებელი; - არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია რა პრივილეგიებთან/შეღავათებთან არის დაკავშირებული ლტოლვილის სტატუსის მიღება; - არ აქვთ ინფორმაცია ლტოლვილის სტატუსის მისაღებად გასავლელი პროცედურების შესახებ (ზოგიერთ მათგანის აზრით, უკვე დაგვიანებულია, რადგან საზღვრის კვეთისთანავე უნდა გაეკეთებინა განაცხადი). რესპონდენტთა ნაწილს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით კონკრეტული ინტერესი აქვს - უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო მათ საცხოვრებლებით, სტატუსის მიღების შემთხვევაში და რეალურად რა ბენეფიტებს მოუტანს სტატუსი.

- მართვის მოწმობისა და მანქანის დაზღვევის საკითხები - რესპონდენტთა ნაწილს აქვს ინფორმაცია, რომ ევროკავშირი უკრაინული მართვის მოწმობების აღიარების პროცედურაზე მუშაობს. ეს ზომები უკრაინელი ლტოლვილებისა და სატრანსპორტო კომპანიების დასახმარებლად მიიღება, რადგან უმრავლესობას მუშაობისთვის მართვის მოწმობა სჭირდება. თუმცა, არ აქვთ ინფორმაცია, ამ მხრივ რა ღონისძიებებს მიმართავს საქართველო. რამდენიმე რესპონდენტის გადმოცემით, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ მართვის მოწმობა ქართულ მოწმობაზე გადაცვალონ. უკრაინელი მოქალაქეებისთვის ეს შესაძლებლობა არ არის მისაღები, რადგან გარდა იმისა, რომ უწევთ უკრაინული მართვის მოწმობის ჩაბარება, საჭიროა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებთან წვდომაც რესპონდენტებს არ აქვთ (ცნობა მართვის მოწმობის დადასტურების შესახებ, სველი ბეჭდით, სამედიცინო ფორმა 100, რეგისტრაციის ცნობა და ა.შ.)

- რესპონდენტთა გადმოცემით მომსახურების სააგენტოს რეგულაციით, საქართველოში მანქანით ჩასულ უცხოელებს ყოველ სამ თვეში ერთხელ უწევთ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება. ეს საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს უკრაინელი მოქალაქეებისთვის, მითუმეტეს, რომ ქვეყნის საზღვრის ორჯერ გადაკვეთა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საერთო ჯამში, უკრაინელი ლტოლვილების წინაშე არსებული გამოწვევები საქართველოში იურიდიული მომსახურების მიმართულებით, ძირითადად, საერთაშორისო პასპორტისთვის განაცხადის პროცედურებზე წვდომას ეხება.

4.7 დამატებითი საჭიროებები

კვლევის ფარგლებში დისკუსია ზოგად საჭიროებებზე, რომელიც მათ ყოველდღიურობას ახლავს ან სხვა დამატებით თემებზე, ძირითადად, ეხებოდა საყოფაცხოვრებო საშუალებებს. რესპონდენტების გადმოცემით, საქართველოში ზრდასრულთა ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები საკმაოდ ხშირად რიგდება, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში. თუმცა, არ არის საკმარისი ბავშვების და ზრდასრულების ფეხსაცმელი - „პრაქტიკული ფეხსაცმელები გვჭირდება. მოხალისეობრივად გროვდება ფეხსაცმელებიც, მაგრამ პრაქტიკულ ფეხსაცმელებს, როგორც წესი ადამიანები თავად იყენებენ და ძირითადად, მოაქვთ უფრო აკადემიური სტილის ან ქუსლებიანი ფეხსაცმელები.“

რაც შეეხება, საკვებს - ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი ძირითადი საჭიროებაა ახალშობილებისა და ბავშვების კვება. მათი გადმოცემით, მშრალი პროდუქტებით დახმარებას პერიოდულად იღებენ, თუმცა, ბავშვთა კვება იშვიათად არის პროგრამებში. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში (მათ შორის, ქუთაისში).

ჰუმანიტარული პროდუქტების ფარგლებში, რესპონდენტები იღებენ ჰიგიენურ საშუალებებს, თუმცა, ეს არ არის საკმარისი რაოდენობა და შეძენა მაინც უწევთ. განსაკუთრებით მოთხოვნადია ქალთა ჰიგიენური საშუალებები.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების დროს ასევე აღინიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდები და ბავშვები ხშირად ვერ იღებენ შესაბამის სახელმწიფო სერვისებს, ხოლო კერძო სერვისები ხელმისაწვდომი არ არის. ამრიგად, ამ ოჯახებს შეიძლება თავად მოუწიონ ოჯახის წევრების სპეციფიკურ საჭიროებებთან გამკლავება.

რესპონდენტთა ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები დაუშვებენ თუ არა 11 კლას დამთავრებულ ატესტატს ეროვნულ გამოცდებზე დასარეგისტრირებლად. ინფორმირებულობა იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ ჯგუფის წევრებმა დისკუსიის დროს გაიგეს, უკრაინის მიერ 11-კლასიანი განათლების გათანაბრების შესახებ ბრძანება 12-წლიან სასწავლო პროგრამასთან.

დამატებით საჭიროებებში გამოიკვეთა ატრიბუტიკა ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის, როგორიცაა ყავარჯენი, გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებები, ე.წ. „ხადულკა“, წნევის საზომი აპარატები, სათვალეები და ა.შ.

და ბოლოს, სახელმწიფო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით (ფულადი დახმარება) ზოგიერთ პირში არ არის სიცხადე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანები აკმაყოფილებენ უფლებამოსილების კრიტერიუმებს, მაგრამ არ იღებენ დახმარებას. რესპონდენტთა გადმოცემით, ბევრი ასეთი შემთხვევა დევნილთა სააგენტოს დახმარებით მოგვარდა, თუმცა, ყველას არ აქვს ინფორმაცია ვის მიმართოს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მიმდინარეობისას, არ იყო ადვილი აწმყოსა და მომავალზე. რესპონდენტები ფოკუსირებულნი არიან მიმდინარე პერიოდში მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. თუმცა, საქართველოში ცხოვრების მიმართ მადლიერება და კმაყოფილება კვლევის მთელი პროცესის თანმდევი იყო. რესპონდენტებს არ აქვთ მკაფიო გეგმა უახლოეს მომავალთან დაკავშირებით, რადგან ყოველდღიურად ელოდებიან სიტუაციის დასტაბილურებას, რათა მალე დაბრუნდნენ სახლში.

5. რეკომენდაციები

რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაზე დაყრდნობით, შესაძლებელია შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება საქართველოში შემოსული უკრაინელი მოქალაქეების შესახებ, მათი დემოგრაფიული ინფორმაციის აღრიცხვა. მონაცემთა ბაზის არარსებობა ართულებს სერვისების განაწილების ეფექტურობას, კოორდინაციას, დემოგრაფიული ჯგუფებზე რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით პროგრამების შემუშავებას;

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან საქართველოში უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერაში, მნიშვნელოვანია არსებული პროგრამები და სერვისები იყოს უფრო მდგრადი. პროგრამებისა თუ სერვისების ნაწილი შემუშავებულია სპონტანურად და გათვლილია მოკლევადიან პერსპექტივაზე, ქაოტურად. მნიშვნელოვანია კოორდინაცია სერვისის მიმწოდებელ ძირითად რგოლებს შორის, რათა არ ჰქონდეს ადგილი სერვისებით გადაფარვას ან დანაკლისს;

- მნიშვნელოვანია უკრაინელი მოქალაქეებისთვის ინფორმირების მიზნით კამპანიის წარმოება ყველა აქტორის მიერ, რაც გულისხმობს ძირითად საჭიროებებზე განახლებული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, არსებული საინფორმაციო პლატფორმების პოპულარიზაცია თემში. რეკომენდირებულია სოციალური ქსელების გამოყენება კამპანიისთვის და პირადი შეხვედრები.

- მნიშვნელოვანია ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურებისა და ვადების შესახებ, ლტოლვილებისთვის ინფორმაციის მიწოდება სასაზღვრო პუნქტებზე და მათი დაცვა. ამასთან, სახელმწიფო უწყებების მხრიდან თითოეული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სათანადო რეაგირება არასამთავრობო სექტორის მხრიდან.

- მნიშვნელოვანია უძრავი ქონების ბაზარზე აქტიურ სააგენტოებთან თანამშრომლობით მხარდაჭერა, საცხოვრებლის ძიების პროცესში მეიჯარესა და ლტოლვილებს შორის გარიგებაში დახმარებით;

- მნიშვნელოვანია, მთავრობამ შეიმუშაოს წამახალისებელი ღონისძიებები იმ ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, ვინც უცხადებს/გამოუცხადებს მხარდაჭერას უკრაინელთა დასაქმებას ან პროფესიულ პრაქტიკას;

- მნიშვნელოვანია, უკრაინელ მოქალაქეებს მიეცეთ წვდომის საშუალება დასაქმების ელექტრონულ ვებ-გვერდებზე. შესაბამისად, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარდაჭერა გამოუცხადონ დასაქმების ვებ-გვერდებს, რათა ლტოლვილებს ჰქონდეთ ადეკვატურ ენაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა;

- მნიშვნელოვანია როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორმა უზრუნველყოს უკრაინელ მოქალაქეთა ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმირება და შეძლებისდაგვარად გაკონტროლდეს სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც არღვევენ პროგრამით განსაზღვრულ პირობებს;

- მნიშვნელოვანია მედიკამენტებზე ინკლუზიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ძალზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომსახურების ყველა პროგრამა/აქტივობა შემუშავდეს პროფესიონალთა ჩართვით, ეფექტური აქტივობების შემუშავებით, როგორც მოზრდილების ასევე, ბავშვებისთვის;

- მნიშვნელოვანია მთავრობამ უზრუნველყოს უკრაინული სექტორების მხარდაჭერა და რეგიონებში უკრაინული სექტორების გახსნა, რაც გაზრდის დედაქალაქიდან რეგიონებში უკრაინელთა გადანაწილებას და შესაბამისად პოზიტიურად იმოქმედებს უძრავი ქონების საფასო პოლიტიკაზე;

- მნიშვნელოვანია საჯარო ორგანიზაციების ცხელი ხაზის ავტომოპასუხეთა შაბლონურ ტექსტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაემატოს უკრაინელ ლტოლვილთა სერვისების შესახებ ინფორმაცია, ან ცხელი ხაზის მომსახურე პერსონალს ჰქონდეს ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია არსებულ სერვისებზე;

- მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას მხარდაჭერა ენობრივი ბარიერების გადალახვაში (ენის არჩევის თავისუფლებით), რათა მათ შეძლონ წვდომა საჭირო ინფორმაციასთან და ადაპტირდნენ საქართველოს შრომის ბაზარზე;

- სასურველია უკრაინის საელჩოსთან შუამავლობა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, საერთაშორისო პასპორტების გაცემის პროცედურების გამარტივებისა და ვადების შემცირების მიზნით. ასევე, სასურველია თბილისის გარდა რეგიონებში (ერთში მაინც) უცხოური პასპორტის აღების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა.

- მნიშვნელოვანია პროფესიული სწავლებით უკრაინელ ლტოლვილთა დაინტერესება, შესაბამისად, სასურველია პროფესიული უნარების სააგენტომ შეიმუშაოს კონცეფცია უკრაინელ ლტოლვილთა პროფესიული სწავლებით დაინტერესებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის;

- მნიშვნელოვანია საქართველოს მასშტაბით, ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვა სპორტულ, კულტურულ ან სხვა საგანმანათლებლო/გამაჯანსაღებელ აქტივობებში;

- აუცილებელი და მნიშვნელოვანია პერმანენტულ რეჟიმში კვლევების წარმოება და მათი საჭიროებებისა და გამოწვევების დინამიკაზე დაკვირვება, განახლებული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.